ანგარიში 2021

წანამძღვარი

Gnomon Wise - საქართველოს უნივერსიტეტთან არსებული, დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტია, რომელიც 2019 წელს დაარსდა. ინსტიტუტის მიზანია, მრავალმხრივი, სანდო და კვალიფიციური კვლევების გზით აწარმოოს ცოდნა, რაც ხელს შეუწყობს თითოეული ადამიანის კეთილდღეობას.

მიმდინარე წელს, 2020 წლის მსგავსად, კორონავირუსის პანდემია მსოფლიოს დღის წესრიგის კვლავ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი იყო. 2020 წელს Gnomon Wise-ის გუნდი ამ გამოწვევის ირგვლივ არსებული ცოდნის დაგროვებაში საკუთარი მოკრძალებული წვლილის შეტანას ცდილობდა. იგივე მიდგომა 2021 წლისთვისაც შევინარჩუნეთ. ამასთან, ვეცადეთ აკადემიურ ჭრილში გაგვეანალიზებინა ყველა ის ფუნდამენტური მნიშვნელობის პრობლემა, რომელიც 2020 წელს, პანდემიის ფონზე გარკვეულწილად გადაიფარა, ხოლო მიმდინარე წელს მთელი სიმწვავით იჩინა თავი. Gnomon Wise-ის გუნდის საკვლევ საკითხთა შორის მოხვდა სახელმწიფოს მიერ პანდემიის პერიოდში დაწესებული შეზღუდვების კონსტიტუციურობის საკითხი; ეკონომიკური გამოწვევები და მათ შორის, ინფლაციის გაზრდილი მაჩვენებლები; ქვეყანაში მართლმსაჯულების კუთხით არსებული პრობლემები; მედიის თავისუფლებისა და ზოგადად, დემოკრატიის წინაშე არსებული გამოწვევები.

თემატურად უაღრესად დატვირთული წლის მიუხედავად, Gnomon Wise-ის გუნდმა შეძლო ისეთ საკითხებზე მუშაობაც, რომელთა კვლევა და ანალიზი ქვეყნის სამომავლო განვითარების საფუძველს წარმოადგენს. მიმდინარე საკითხებთან ერთად, ჩვენი გუნდის საქმიანობა მომავალ წელსაც სწორედ მსგავსი საკითხების სიღრმისეულ ანალიზს დაეთმობა. განსაკუთრებული პრიორიტეტი კვლავ მართლსამჯულების საკითხებს მიენიჭება.

ჩვენი გუნდი მადლობას უხდის თითოეულ ადამიანს, რომელიც სხვადასხვა ფორმით ჩართული იყო ჩვენს აქტივობებში და წვლილი შეიტანა საზოგადოებისთის საჭირო ინფორმაციის მიწოდებაში. განსაკუთრებულ მადლობას კი ჩვენს მკითხველებს ვუხდით, რომელთა უკუკავშირი კიდევ უფრო გვავითარებს.

წინამდებარე დოკუმენტში მოკლედ წარმოგიდგენთ იმ ძირითად აქტივობებს, რომლებიც 2020 წლის განმავლობაში ჩვენმა გუნდმა განახორციელა.

მოსაზრება

როცა მეამინდე შტორმისას გღალატობს - სამოქალაქო საზოგადოება და საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენება
ავტორი: დავით ზედელაშვილი
13/02/2021 (იხ. ბმული)

კომუნიკაციების კომისია როგორც ცენზურის კომიტეტი
ავტორი: დავით ქუტიძე
14/02/2021 (იხ. ბმული)

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დუმილის დარღვევა - დასტური იმისა, რომ „ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“
ავტორი: თამარ ქეცბაია
18/02/2021 (იხ. ბმული)

სამართლის უზენაესობა საქართველოში
დოკუმენტი თავდაპირველად გამოქვეყნდა გერმანულ აკადემიურ ბლოგზე Verfassungsblog და ხელმისაწვდომია მხოლოდ ინგლისურ ენაზე
ავტორი: დავით ზედელაშვილი
05/03/2021 (იხ. ბმული)

კომენდანტის საათი - ევროპაშიც ხომ ასეა?!
ავტორი: თამარ ქეცბაია
11/03/2021 (იხ. ბმული)

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დანახული რეალობის ალტერნატივა და მოსამართლეთა მორჩილებით გაუარესებული ეკონომიკური პერსპექტივები
ავტორი: ეგნატე შამუგია
15/03/2021 (იხ. ბმული)

კომენდანტის საათი - მტკიცებულებებს მოკლებული ჩარევა და შემცირებული კეთილდღეობა
ავტორი: ეგნატე შამუგია
29/03/2021 (იხ. ბმული)

მოსაზრება

მონეტარული ხელისუფლება - ადამიანის ბატონობა ნაცვლად სამართლის უზენაესობისა
ავტორი: ეგნატე შამუგია
06/05/2021 (იხ. ბმული)

ლარის გამყარება - მონეტარული პოლიტიკის გავლენა
ავტორი: ეგნატე შამუგია
03/06/2021 (იხ. ბმული)

Word of Mouth დეზინფორმაცია - არასათანადოდ გააზრებული საფრთხე
ავტორი: დავით ქუტიძე
11/06/2021 (იხ. ბმული)

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია 26 წლის შემდეგ - კონსტიტუციური დოკუმენტი კონსტიტუციონალიზმის მიღწევების გარეშე
ავტორი: დავით ზედელაშვილი
24/08/2021 (იხ. ბმული)

არჩევნები, პოპულიზმი და საბჭოთა ფაბრიკა-ქარხნები
ავტორი: ეგნატე შამუგია
13/09/2021 (იხ. ბმული)

არჩევნები, პოპულიზმი და იმპორტის ჩანაცვლება
ავტორი: ეგნატე შამუგია
24/09/2021 (იხ. ბმული)

ეროვნული ბანკის პოლიტიკა კონსტიტუციურ მანდატს მიღმა
ავტორი: ეგნატე შამუგია
20/12/2021 (იხ. ბმული)

ანალიტიკა

სამართლის უზენაესობა „ქამელეონი სასამართლოს“ იურისპრუდენციაში - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება პარტიულ სიებში სავალდებულო გენდერული კვოტის შესახებ

ავტორი: დავით ზედელაშვილი (იხ. ბმული)

აღნიშნული სტატია წარმოადგენს Gnomon Wise-ის მიერ გამოქვეყნებული სამუშაო სტატიის ახლებურ ვერსიას, ცვლილებებითა და დამატებებით, გადამუშავებული სახით. სტატია გამოქვეყნდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალში - საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, XV გამოცემა, 2021.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II) - ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პერსპექტივებში

ავტორი: დავით ზედელაშვილი - 23/01/2021 (იხ. ბმული)

დოკუმენტში განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II). ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ სამომავლო სამართლებრივ შედეგზე, რომელიც აღნიშნულ გადაწყვეტილებას მოაქვს: რუსეთის მიერ 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ საქართველოს რეგიონების (ყოფილი სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი) ოკუპაციისა და იქ განხორციელებული ეთნიკური წმენდის საერთაშორისო სამართლებრივი დადასტურება.

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება „კარტოგრაფების საქმეზე“

ავტორები: დავით ზედელაშვილი და თამარ ქეცბაია - 19/02/2021 (იხ. ბმული)

სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრება მომზადდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, ბრალდებულების ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, რომელთაც ბრალად ედებათ საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედების ჩადენა, მიმართული საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფისაკენ.

აღნიშნული დოკუმენტი მიზნად ისახავს სასამართლოს დაეხმაროს დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებაში, შესაბამისად, აანალიზებს იმ საკითხებს, რომლებზეც სასამართლოს მსჯელობა აუცილებლად მოუწევს იმისათვის, რომ სრულყოფილად და ყოვლისმომცველად შეისწავლოს და შეაფასოს მტკიცებულებები და გამოიტანოს განაჩენი დასაბუთებულ ეჭვს მიღმა სტანდარტით.

Gnomon Wise-ის მიერ წარდგენილი მოსაზრება, საქალაქო სასამართლომ საქმეს დაურთო (იხ. ბმული).

ანალიტიკა

ლარის გაცვლითი კურსის ოცწლიანი ისტორია და გაუფასურების მიზეზები

ავტორი: ეგნატე შამუგია - 27/05/2021 (იხ. ბმული)

სტატიაში განხილულია ლარის გაცვლითი კურსის მნიშვნელობა, ბოლო ოცწლიან პერიოდში ხუთ ყველაზე სტაბილურ ვალუტასთან მიმართებით კურსის ცვლილება. ავტორი გაცვლითი კურსის გაუფასურებასთან დაკავშირებით ცენტრალური ბანკის განმარტებისა და მოთხოვნა/მიწოდების მარტივი და ამავდროულად, რეალობასთან ყველაზე ახლოს მყოფი მოდელის საშუალებით ხსნის ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლილების უმთავრეს ფაქტორებს. კერძოდ, ცენტრალური ბანკის მონეტარულ პოლიტიკას და აღნიშნული პოლიტიკის შედეგებს.

კორონავირუსის შესახებ „დეზინფორმაციასთან ბრძოლის“ საბაბით დაწყებული სამთავრობო ცენზურის პანდემია

ავტორი: დავით ქუტიძე - 15/09/2021 (იხ. ბმული)

დოკუმენტში 40-ზე მეტი ქვეყნის მაგალითზე, წარმოდგენილია კოვიდ-19-ის კონტექსტში დეზინფორმაციისა და ყალბი ამბების წინააღმდეგ ბრძოლის მოტივით მიღებული ის რეგულაციები (მათი რეალური მიზნები და პრაქტიკული აღსრულება), რომლებმაც დამატებითი პრობლემები შეუქმნეს პანდემიისგან ისედაც დაზარალებულ მოქალაქეებს.

ადგილობრივი თვითმმართველობა ილიასეული კრიტიკული პერსპექტივიდან

ავტორები: ეგნატე შამუგია და თამარ ქეცბაია - 20/09/2021 (იხ. ბმული)

ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებით დაბალი ინტერესის არსებობის, საზოგადოების მიერ იმ დიდი როლისა და მნიშვნელობის სათანადოდ შეუფასებლობის გათვალისწინებით, რომელიც თვითმმართველობას გააჩნია, მოცემული პუბლიკაცია მიზნად ისახავს თვითმმართველობასთან დაკავშირებით არსებული ცოდნის გაზიარებას.

იმის გათვალისწინებით, რომ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების თვითმმართველობის ძირითად პრინციპებზე შეთანხმებამდე, დაახლოებით ერთი საუკუნით ადრე, ილია ჭავჭავაძეს სიღრმისეულად ჰქონდა გააზრებული თვითმმართველობის ძირითადი პრინციპები და ნიშან-თვისებები, მისი როლი საერთო კეთილდღეობის მიღწევაში, დემოკრატიის მშენებლობასა და ქვეყნის ეფექტიან მმართველობაში, ავტორები სწორედ ილია ჭავჭავაძის ხედვების ანალიზს გვთავაზობენ და თანამედროვე ევროპულ მოდელთან მათ შესაბამისობაზე ამახვილებენ ყურადღებას.

საქართველოს ხელისუფლების აგრესიული, პროპაგანდისტული რიტორიკა მედიის მიმართ - ავტორიტარების მიერ გამოცდილი ხერხი ჟურნალისტების დისკრედიტაციისთვის

ავტორი: დავით ქუტიძე - 29/09/2021 (იხ. ბმული)

დოკუმენტში გაანალიზებულია ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებები, რომლებიც შეიცავენ პროპაგანდისტულ გზავნილებს იმ ტელევიზიების მიმართ, რომლებიც მათ არ მოსწონთ. მედიასაშუალებების მიერ მომზადებულ ფაქტობრივად ყველა კრიტიკულ სიუჟეტსა თუ სტატიას ხელისუფლება ან მიზანმიმართულად აკნინებს და ამბობს, რომ ეს გამოგონილია, ან თავს ესხმის მის გამავრცელებელ წყაროს და სხვადასხვა იარლიყის საშუალებით ცდილობს დისკრედიტაცია მოახდინოს საზოგადოების თვალში.

დოკუმენტის ავტორის დასკვნით, იქიდან გამომდინარე, რომ ხელისუფლება სრულფასოვნად ვერ აკონტროლებს მედია-სივრცეს, მისთვის ერთადერთ გამოსავლად კრიტიკული მედიის დისკრედიტაცია რჩება. ამასთან, ავტორი აკეთებს იმ დაშვებასაც, რომ ხელისუფლებას, წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით, შესაძლოა აწყობდეს კიდეც ე.წ. „მტრის ხატი“ მედიასაშუალებები - ერთი მხრივ, ის ამბობს, რომ ქვეყანაში არის პლურალისტული მედია, მეორე მხრივ კი - ნებისმიერ კრიტიკულ აზრს, ნებისმიერ ამბავს, რომელიც მათ გადაცდომებს აღწერს, უმალ „გარყვნილი“, „სააკაშვილის დანამატი“, „ანტიქრისტიანული“ მედიის ფაბრიკაციად აცხადებენ. ასეთი გზებით, პროპაგანდისტული იარლიყების საშუალებით, მედიის მიმართ უნდობლობის გაღვივება ხდება. მსგავსი მცდელობები კი, აზიანებს მედია გარემოს და ზოგადად დემოკრატიულ პროცესს.

თანამედროვე დილემა - დეზინფორმაციასთან რეგულირების გზით ბრძოლა vs სიტყვის თავისუფლება

ავტორი: დავით ქუტიძე - 27/10/2021 (იხ. ბმული)

თანამედროვე სამყაროში ინტერნეტის როლის უპრეცედენტო ზრდის პარალელურად, რაც ინფორმაციის უზარმაზარ ნაკადებს ქმნის, მკვეთრად იზრდება დეზინფორმაციის, ყალბი ამბების გავრცელების ფარგლები, მისგან მომდინარე საფრთხეები კი სულ უფრო ხელშესახები ხდება.

წინამდებარე პუბლიკაცია მიზნად ისახავს იმ რთული დილემის წარმოჩენას, რომლის წინაშეც თანამედროვე მსოფლიო დგას: ერთი მხრივ, ყალბი ამბებით გამოწვეული ზიანი, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ზიანის აღმოფხვრის პროცესში სიტყვის თავისუფლების მიმართ წარმოშობილი საფრთხეები. პრობლემის ზოგად ანალიზთან ერთად, ავტორი განიხილავს კონკრეტულად საქართველოს გამოწვევებს ამ საკითხთან მიმართებით.

უმაღლესი განათლების ავტორიზაციის სტანდარტები საქართველოში - განათლების ხარისხის განვითარება?

ავტორები: დავით ქუტიძე და ირინა გურგენაშვილი - 05/03/2021 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: ნაშრომი საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ერთ-ერთ გარე მექანიზმს - ავტორიზაციასა და მის სტანდარტებს ეხება. ამასთან, ფართო კონტექსტშია გააანლიზებული ზოგადად განათლების ხარისხის სტანდარტიზაციის საკითხი და განხილულია აკადემიურ სივრცეში კარგად ცნობილი დებატები იმის შესახებ, უმაღლესი განათლების სტანდარტიზაცია აუდიტია თუ ხარისხის განვითარება.

ავტორები აყალიბებენ ჰიპოთეზას, რომ არსებული ავტორიზაციის სტანდარტები ქართულ უნივერსიტეტებსაც ჰომოგენურს ხდის, უზღუდავს ავტონომიას, ურთულებს საქმის წარმოების პროცესს და ზოგიერთ შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან ავტორიზაციის სტანდარტები გამოიყენება, როგორც საკუთარი ვიწრო ინტერესების გატარების ინსტრუმენტი. 2018 წლიდან 2020 წლის სექტემბრამდე პერიოდში ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების (ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნებისა და საბჭოს სხდომის ოქმების - სულ 46 გადაწყვეტილება) ანალიზის საფუძველზე, ავტორების დასკვნით, მათ მიერ დაშვებული ჰიპოთეზის ვალიდურობა დასტურდება.

სამართლის უზენაესობა და ეკონომიკური შესრულება: მეტა-რეგრესული ანალიზი

ავტორები: ეგნატე შამუგია და დავით ზედელაშვილი - 03/09/2021 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: კვლევის მიზანია მეტა-რეგრესული ანალიზის საშუალებით ეკონომიკურ მიღწევაზე სამართლის უზენაესობის გავლენის შესწავლა. ავტორების მიერ გამოყენებულია 54 კვლევა (ეკონომიკურ მიღწევაზე სამართლის უზენაესობის გავლენის 353 შეფასება). მეტა ანალიზით გამოვლინდა, რომ ემპირიულ ლიტერატურას ახასიათებს პუბლიკაციის შერჩევის მიკერძოება. მიუხედავად ამისა, მეტა-რეგრესული ანალიზის შედეგები ცხადყოფს, რომ სამართლის უზენაესობას ეკონომიკურ შესრულებაზე დადებითი გავლენა გააჩნია. კერძოდ, პუბლიკაციის მიკერძოების მიღმა ზომიერად საშუალო ეფექტი ვლინდება. ხოლო, გავლენის შეფასების ჰეტეროგენულობის ამსახველ ფაქტორებს შორის ძირითადად თავად სამართლის უზენაესობის ხარისხის ინდიკატორები, ეკონომიკური შესრულების ცვლადი, ქვეყნის განვითარების დონე და ეკონომეტრიკული მოდელის სპეციფიკაა.

ფისკალური დეცენტრალიზაცია და კორუფცია

ავტორი: ეგნატე შამუგია - 17/11/2021 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: კვლევის მიზანია, უპასუხოს ცენტრალურ კითხვას - იწვევს თუ არა ფისკალური დეცენტრალიზაცია კორუფციის ზრდას? აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემას ავტორი დანაშაულის ეკონომიკური თეორიის და ლევიათანის ჰიპოთეზის საშუალებით ცდილობს. კვლევაში ასევე განხილულია თავად კორუფციის ფენომენი და მის რაოდენობრივ გაზომვასთან დაკავშირებული საკითხები. ხსენებულ ორ თეორიაზე დაყრდნობით, კვლევით წარმოჩენილია, რომ ფისკალური დეცენტრალიზაციის დროს კორუფციის ნამდვილი დონე არ იზრდება. პირიქით, სხვა თანაბარ პირობებში, დეცენტრალიზაციის შემთხვევაში კორუფციის ნამდვილი დონის შემცირებაა მოსალოდნელი.

Covid-19 და პრო-სახელისუფლებო მედია - კორონავირუსის გაშუქება არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ

ავტორი: დავით ქუტიძე - 22/12/2021 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: საზოგადოებრივ ცხოვრებაში მედიის როლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამ ნაშრომის ძირითადი კითხვაა, თუ როგორ გააშუქა ყველაზე რეიტინგულმა პრო-სახელისუფლებო მედიასაშუალებამ კორონავირუსი საარჩევნო პერიოდში და რამდენად დაემთხვა მისი დღის წესრიგი ხელისუფლების პრიორიტეტებს (სტაბილურად მძიმე ეპიდემიოლოგიურ პირობებში). დაკვირვების ობიექტად ტელეკომპანია „იმედი“ შეირჩა, კონკრეტულად, მისი მთავარი საინფორმაციო გამოშვება - „ქრონიკა“. დაკვირვება განხორციელდა 2020 და 2021 წლების არჩევნების წინა და შემდგომ თვეებში. მედიასაშუალების დღის წესრიგის გამოვლენა მოხდა „ქრონიკაში“ კორონავირუსისთვის დათმობილი დროისა და პრიორიტეტულობის მიხედვით.

კვლევამ აჩვენა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დღემდე, როცა მძიმე ეპიდ-ვითარებაზე საუბარი ხელისუფლებისთვის არახელსაყრელი იყო, კორონავირუსის გაშუქებას ტელეკომპანია „იმედმა“ გაცილებით ნაკლები დრო დაუთმო, ვიდრე არჩევნების შემდგომ. არჩევნების პირველი ტურის შემდეგ, რომელშიც მმართველმა პარტიამ გაიმარჯვა, „იმედზე“ კოვიდ-19-ის გაშუქება შესამჩნევად გააქტიურდა, ხოლო არჩევნების მეორე ტურის შემდგომ, კორონავირუსი „იმედის“ ნომერ პირველი საკითხი გახდა. მედიის დღის წესრიგის ასეთ რადიკალურ ცვლილებას ხელისუფლების მიერ კოვიდ-რეგულაციების გამკაცრება მოჰყვა. რაც შეეხება 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინა პერიოდს, აქაც გამოიკვეთა, რომ წინასაარჩევნოდ კოვიდ-19 „იმედის“ პრიორიტეტებში ვერ ხვდებოდა. არჩევნების შემდეგ პრო-სახელისუფლებლო მედიასაშუალებაში კოვიდ-19-ის თემის მიმართ მედიის ყურადღება შესამჩნევად გაიზარდა. შესაბამისად, ავტორის წინასწარი დაშვებები პრო-სახელისუფლებო მედიაში კოვიდ-19-ის გაშუქებასთან დაკავშირებით ცალსახად დადასტურდა, რამდენადაც „იმედი“ მიჰყვებოდა ხელისუფლებისთვის ხელსაყრელ დღის წესრიგს.

მოსამართლეების თანამდებობასთან შესაბამისობის შემოწმება თეორიულ და შედარებით პერსპექტივებში - რეკომენდაციები საქართველოსთვის

ავტორები: დავით ზედელაშვილი და თამარ ქეცბაია

ფონდ „ღია საზოგადოებასთან“ თანამშრომლობით, Gnomon Wise-ის მკვლევრების მიერ მომზადებული კვლევა მოიცავს სამ ნაწილს. პირველი ნაწილში განხილულია თანამდებობასთან შესაბამისობის შემოწმება როგორც გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულების ინსტიტუტი, მისი ფორმები, კონტექსტები, მიმართება გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულების სხვა ინსტიტუტებთან. ყველა ეს საკითხი განხილულია შესაბამისი ნორმატიული თეორიისა და შედარებითი ანალიზის პრიზმაში. მეორე ნაწილი ეთმობა მოსამართლეების თანამდებობასთან შესაბამისობის შემოწმების „ალბანურ მოდელს“. აღნიშნული მოდელის უფრო დაწვრილებით გამოკვლევის გამართლება ძირითადად ეფუძნება მის შესაბამისობას ევროპული კონვენციის სტანდარტებთან და მის შექმნაში ევროპული მონაწილეობის გამოცდილების გამოკვლების მნიშვნელობას. მესამე ნაწილი ეთმობა საქართველოს სასამართლო შტოს დელეგიტიმაციისა და დისფუნქციის ძირითადი მიზეზების ანალიზს, ინსტიტუციური და პერსონალის რეფორმების ზოგადი მიზნების გამოკვეთას და თანამდებობასთან შესაბამისობის შემოწმების ინსტიტუციური მოდელის შეთავაზებას შესაბამისი რეკომენდაციის სახით.

კვლევა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი 2022 წლის იანვარში გახდება.

სხვა აქტივობები

Gnomon Wise-ის მკვლევრის, დავით ზედელაშვილის კომენტარი TV „ფორმულას“ ეთერში, სტრასბურგის სასამართლოს 21 იანვრის გადაწყვეტილების შესახებ
22/01/2021 (იხ. ბმული)

Gnomon Wise-ის მკვლევრი დავით ზედელაშვილის სტუმრად Podcasthub-ში
17/02/2021 (იხ. ბმული)

მედია პროდუქტის შინაარსში ჩარევის მცდელობები - მიზეზები და საფრთხეები - ზვიად ქორიძე & დავით ქუტიძე)
18/02/2021 (იხ. ბმული)

BusinessFeed-ის ინტერვიუ Gnomon Wise-ის მკვლევართან, ეგნატე შამუგიასთან - „პრივატიზაციის მნიშვნელობა: რა ხდება განვითარებულ სამყაროში“
12/02/2021 (იხ. ბმული)

Gnomon Wise-ის მკვლევარი დავით ზედელაშვილი სტუმრად ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში
24/02/2021 (იხ. ბმული)

საქართველოს პირველი რესპუბლიკა - გიორგი კანდელაკი & ირინა გურგენაშვილი
25/02/2021 (იხ. ბმული)

Gnomon Wise-ის მკვლევარი ეგნატე შამუგია სტუმრად „საქმიან დილაში“
29/03/2021 (იხ. ბმული)

Gnomon Wise-ის მკვლევარი ეგნატე შამუგია სტუმრად TV პირველის ეთერში
25/05/2021 (იხ. ბმული)

Gnomon Wise-ის მკვლევარი ეგნატე შამუგია სტუმრად „ფორმულას“ ეთერში
31/05/2021 (იხ. ბმული)

Gnomon Wise-ის მკვლევარი დავით ზედელაშვილი სტუმრად ვასილ ჟიჟიაშვილის პოდკასტში
17/09/2021 (იხ. ბმული)

Gnomon Wise-ის მკვლევარის, ეგნატე შამუგიას ინტერვიუ BusinessFeed-თან
25/10/2021 (იხ. ბმული)

Gnomon Wise-ის მკვლევარი დავით ზედელაშვილი ტელეჟურნალში „დროება“
07/11/2021 (იხ. ბმული)

Gnomon Wise-ის მკვლევარი დავით ზედელაშვილი სტუმრად ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში
10/11/2021 (იხ. ბმული)

Gnomon Wise-ის მკვლევარი ეგნატე შამუგია სტუმრად რადიო „თავისუფლების“ ეთერში
16/12/2021 (იხ. ბმული)

Gnomon Wise-ის მკვლევარი დავით ზედელაშვილი სტუმრად ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში 17/12/2021 (იხ. ბმული)

2021 წლის 19 თებერვალს, Gnomon Wise-ის მკვლევრებმა **დავით ზედელაშვილმა** და **თამარ ქეცბაიამ** მათ მიერ მომზადებული და თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის „კარტოგრაფების საქმეზე“ წარდგენილი სასამართლო მეგობრის წერილობითი მოსაზრების ონალინ პრეზენტაცია გამართეს. (იხ. ბმული)

2021 წლის 25 ივნისს, Gnomon Wise-ის ორგანიზებით, გაიმართა საჯარო დისკუსია: **20 ივნისის დანაშაულების ამნისტია - სამართლიანობის დილემა არარსებული გარდამავალი მომენტისთვის?**

დისკუსიაში მონაწილეობდნენ: **დავით ზედელაშვილი** (მოდერატორი) – Gnomon Wise-ის მკვლევარი; **გია ნოდია** - პოლიტიკის მეცნიერი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; **ანა ნაცვლიშვილი** - საქართველოს პარლამენტის წევრი, პოლიტიკური გაერთიანება „ლელო“; **გიორგი ბურჯანაძე** - საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე; **გიორგი ჩიტიძე** - ღია საზოგადოების ფონდის ადამიანის უფლებების პროგრამის მენეჯერი და **გიორგი ნონიაშვილი** - სამოქალაქო აქტივისტი, მმართველობის მონიტორინგის ცენტრი.
(იხ. დისკუსიის ვიდეო)

მინდინარე წლის 6-10 აპრილს, საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლამ The InterNational Academy of Dispute Resolution (INADR)-ის საერთაშორისო მედიაციის კონკურსს - INADR International Law School Mediation Tournament 2021 - უმასპინძლა. Gnomon Wise აღნიშნული კონკურსის საორგანიზაციო საკითხებში აქტიურად იყო ჩართული და მის ერთ-ერთ სპონსორს წარმოადგენდა.

აღსანიშნავია, რომ კონკურსის წამრატებით ორგანიზებისთვის Gnomon Wise-ის დირექტორი, **ანა ხურციძე**, INADR-ის საბჭოს ვიცე პრეზიდენტად, ხოლო მკვლევარი, **თამარ ქეცბაია**, სამართლის სკოლის მედიაციის საერთაშორისო ტურნირის კომიტეტის წევრად აირჩიეს.

მ. კოსტავას 77ა, თბილისი, საქართველო

www.gnomonwise.org